სსიპ - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრის დებულება

მუხლი1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრი (შემდგომში „ცენტრი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების, სახელმწიფოებრიობისა და მისი მდგრადი დემოკრატიული განვითარების საკითხების შესწავლას, ექსპერტიზას და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას.
2. ცენტრი არის უნივერსიტეტის მრავალპროფილიანი სტრუქტურული ერთეული, რომელიც ორიენტირებულია სახელმწიფო მართვის, ეკონომიკის, ახალგაზრდული პოლიტიკის, გეოპოლიტიკის, რელიგიის, სოციოლოგიის, ისტორიის, კულტუროლოგიის, ეკოლოგიის, რეგიონალური თანამშრომლობის საკითხებისა და პრობლემების ინტერდისციპლინარულ კვლევაზე.
3. ცენტრს აქვს საკუთარი ტიტულიანი ბლანკი თსუ-ის ლოგოთი, ანგარიში და ბეჭედი, რომლის გამოყენება ხდება ცენტრის დირექტორის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები და კომპეტენციები

1. ცენტრის მიზნებია:

ა) ხელი შეუწყოს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებას;
ბ) აქტუალური ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების კვლევა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საქართველოს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის კონტექსტში;
გ) საერთაშორისო პრობლემების შესწავლა;

დ) კავკასიის რეგიონის ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო და კულტურული ურთიერთობების კვლევა და ანალიზი;

ე) კომპლექსური რისკების შესწავლა გლობალურ და რეგიონალურ განვითარებაში;

ვ) საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის აქტუალური პრობლემების შესწავლა;

ზ) საქართველოსა და სხვა ქვეყნების რელიგიური გამოცდილების შესწავლა;

თ) ახალგაზრდული პოლიტიკის აქტუალური პრობლემების შესწავლა;

ი) სამეცნიერო შრომების პუბლიკაცია;

კ) სასწავლო სემინარების ჩატარება;

ლ) საექსპერტო და სამეცნიერო წრეებს შორის გამოცდილების გაზიარებისათვის ხელშეწყობა;

მ) უცხოელი და ქართველი ექსპერტების მიერ საქართველოსა და კავკასიის რეგიონში კვლევების ჩატარების ხელშეწყობა არსებული ტექნიკური ბაზისა და ექსპერტთა რჩევების გამოყენებით.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა

1. ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც ზედამხედველობას უწევს ცენტრის მუშაობას.
2. ცენტრის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
3. ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობას განაგებს ცენტრის დირექტორის მოადგილე, რომელსაც ცენტრის დირექტორის წარდგინებით ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.
4. ცენტრის დირექტორის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებებს რექტორის თანხმობით ასრულებს ცენტრის დირექტორის მოადგილე.
5. ცენტრის სტრუქტურულ ერთეულებს ცენტრის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი;
6. ცენტრის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი.
7. ცენტრის დებულებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულებაში ხელშეწყობის მიზნით, ცენტრში იქმნება სათათბირო კოლეგიური ორგანო - ცენტრის საკონსულტაციო საბჭო, რომლის თავმჯდომარეა უნივერსიტეტის რექტორი.
8. საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობა მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
9. ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი დაფინანსება;
ბ) გრანტებისა და პროექტების საფუძველზე მიღებული შემოსავლები;
გ) ხელშეკრულების შესრულებით მიღებული შემოსავლები;
დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიზნობრივად ცენტრისათვის განკუთვნილი საჩუქრის სახით მიღებული შემოსავლები;
ე) კანონმდებლობით აუკრძალავი ნებისმიერი შემოსავლები.

მუხლი 4. ცენტრის ქონება

თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ცენტრი სარგებლობს უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონებით.

მუხლი 5.
დასკვნითი დებულებები

ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, სხვა სტრუქტურული ცვლილებები და წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.